ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო63. 63233622
თარიღი:28/12/2023

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 31

ქ. სამტრედია. 11 დეკემბერი, 2023 წელი.

2023 წლის 11 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 91-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოში წარმოდგებილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (მეორე წარდგენა), რომელშიც შეძლებისდაგვარად მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა საკრებულოს მიერ მიწოდებული წინადადებები. წარმოდგენილ პროექტში, განსახილველი წინადადებების უმეტესი ნაწილი სუბსიდირებული იქნება, ხოლო გარკვეული ნაწილი 2024 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადაწყდება დადებითად. თუმცა, არ შეიძლება არ ავღნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენს წინადადებებში, რომელიც 2024 წლის ბიუჯეტში უნდა გაეთვალისწინებინა მერიას, არ იყო შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს სუბსიდიის გეგმის გაზრდაზე მოთხოვნა. წარმოდგენილ მომართვაში კი 4,0 ათ. ლარით იზრდება შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს გეგმა. ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ, პირიქით, შარშან ჩვენ თავად ვითხოვდით სუბსიდიის გეგმის გაზრდას, მაგრამ

კარგია რომ წელს გაიზრდება შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს 2024 წლის სუბსიდია.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო:

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 დეკემბრის N** : 62-6223342136 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 91 მუხლის მე-5 ნაწილისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი''-ს 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის, (მეორე წარდგენა, 25,887.4 ათასი ლარის ოდენობით), თანდართულ მასალებთან ერთად საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის N : 62-6223342136 8 /12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6323345001-63 11**/21/2023 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 დეკემბრის N**62-6223342138 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების 2024 წლის ბიუჯეტის პროექტების საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს. კერძოდ, წარმოდგენილია შემდეგი ა.(ა).ი.პ-ები და შ.პ.ს.-ები:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''.

2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''.

3. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლა~ .

4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლა'' .

5. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა''.

6. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა“.

7. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა''.

8. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა“.

9. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''.

10. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~.

11. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''.

12. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა''.

13. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''.

14. შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“.

15. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''.

16. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის

კულტურის ცენტრი".

17. ა.(ა).ი.პ. „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“.

18. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“.

19. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი’’.

20. ა.(ა).ი.პ. ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“.

21. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა~ .

22. ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი".

23. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია".

24. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სახლი თანადგომა".

25. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი".

(მომართვის N : 62-6223342138 8 /12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63233453-63 11**/21/2023 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

3. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 დეკემბრის N**62-6223342137 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის, (დანართი №1), ,,2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები“-ს (დანართი №2) პროექტის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის N : 62-6223342137 8 /12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63233452-63**

11/21/2023 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

4. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 დეკემბრის N**62-622334275 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, "სახლი თანადგომა” - ს 2024 წლის უფასო სასადილოს კვების პროდუქტების კვირეულ ნორმების განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის N : 62-622334275 8 /12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63233426-63 8**/21/2023 წ.)

5. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 დეკემბრის №**62-622334557 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი’’-ს 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რათა

სკრებულოს სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნას შემდეგი დადგენილების პროექტები:

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტებსი ცვლილება განპირობებეული შემდეგ გარემოებათა გამო. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'', საქართველოს კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების სახით ახორციელებს მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) სამხედრო აღრიცხვას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას და სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დათხოვნილ პირთა აღრიცხვას. საქართველოს თავდაცვის კოდექსის 57-ე მუხლის და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა''- ქვეპუნქტის მიხედვით, 2024 წლის 01 იანვრიდან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე პირის აყვანას განახორციელებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული, პირი, რომელიც იქმნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს თავდაცვის კოდექსის 67-ე მუხლის და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა''- ქვეპუნქტის მიხედვით, 2024 წლის 01 იანვრიდან წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას ორგანიზებას გაუწევს ამ კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ასევე წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას განახორციელებს ამ კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა''-ქვეპუნქტის მიხედვით, 2024 წლის 01 იანვრიდან სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვას და მართვას განახორციელებს ამ კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს თავდაცვის კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, 2024 წლის 01 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ," საქართველოს კანონი. ვინაიდან, 2024 წლის 01 იანვრიდან იმ ფუნქციებს, რასაც ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, 2024 წლის 01 იანვრიდან გაუქმდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

(მომართვის N:62-622334557 11 /12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63233457-63 11**/21/2023 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამადატო საკითხთა კომისია.

6. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 დეკემბრის №**62-

622334556 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შედეგად:

ა) ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'', საქართველოს კანონის პროექტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'', საქართველოს კანონის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოები, განისაზღვრება გაზრდილი ოდენობით.

ბ) ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებიდან ამოღებული იქნება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა.

(მომართვის N : 62-622334556 11 /12/2023 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63233456-63 11**/21/2023 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამადატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი